საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2985-03
15/09/2020

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საფეხურზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 აგვისტოს N2334-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, ბიზნესის სკოლის დეკანის, დიმიტრი ჯაფარიძის 2020 წლის 15 სექტემბრის N8403-35 სამსახურებრივი ბარათის და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, გიორგი გვალიას 2020 წლის 15 სექტემბრის N8404-35 სამსახურებივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საფეხურზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 აგვისტოს N2334-03 ბრძანების პირველ პუნქტში, კერძოდ რეგისტრაციის ვადად ნაცვლად 15 სექტემბრისა განისაზღვროს 17 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2020-2021 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 1 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით, ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A101

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - მის.: გ.წერეთლის გასასვლელი N3 ოთახი S103;

გ) სამართლის სკოლა - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A304;

დ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5, E კორპუსი, უნიფუდის ტერიტორია.“

2. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საფეხურზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 აგვისტოს N2334-03 ბრძანების მე-7 პუნქტში, კერძოდ ხელშეკრულების გაფორმების ვადად ნაცვლად 15 სექტემბრისა განისაზღვროს 17 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. 2020-2021 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე რეგისტრაციაგავლილ აბიტურიენტებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2020 წლის 17 სექტემბერი;“

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;

5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი